ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4754013

ნომერი: AR1715960

თარიღი : 05.11.2019

გაცემის თარიღი : 19.11.2019

გაცნობის თარიღი : 19.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მელიქიშვილი , N 47-49-49ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბაღათურია პ/ნ 62001035451
- სოხუმი გუმისთის N 12 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი).
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ ბაღათურია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "იდეა მელიქიშვილი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405106745
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რუსუდან გიორგაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018001223

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3688812
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.11.2017

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2017 წლის 17 ნოემბრის №3688812 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 17 ნოემბერს №3688812 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მელიქიშვილის გამზ. N47-49-49ა–ში, შპს ,,იდეა მელიქიშვილი''-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 17 ნოემბრიდან 2019 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით;

2019 წლის 05 ნოემბერს N AR1715960 განცხადებით სამსახურს მომართა შ.პ.ს. „იდეა მელიქიშვილი“-ს დირექტორის რ. გიორგაძის მინდობილმა პირმა ზ. ბაღათურიამ (2019 წლის 15 ნოემბრის N2019/012 მინდობილობა), რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2017 წლის 17 ნოემბრის №3688812 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3688812 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 17 ნოემბრიდან 2019 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2021 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3688812 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge